ხელშეკრულება მომსახურების შესახებ 50

ქ.თბილისი 16 აპრილი 2013წელი

ხელშეკრულების მხარეები:

ერთის მხრივ შპს „მიკრონეტ“-ი ს/კ 204557960 დირექტორი ვახტანგ სიხარულიძის სახით, და მეორეს მხრივ ცაგერის მუნიციპალიტეტის სახით,ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შპს მიკრონეტი უზრუნველყოფს ცაგერის მუნიციპალიტეტს ინტერნეტ მომსახურებას.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 შპს მიკროენტი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად შეასრულოს მასზე დაკისრებიული ვალდებულება.

3.მომსახურების ანაზღაურება:

3.1წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებით ცაგერის მუნიციპალიტეტი ყოველთვიურად გადაუხდის შპს „მიკრონეტ“-ს ინტერნეტ მომსახურების საფასურს 300 ლარს.

4.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე შრომითი ხელშეკრულება ძალაში შედის 2013წლის „16„აპრილიდან და ძალაშია 2013წლის „31„ დეკემბრამდე;

MUNICIPALITY OF TSAGERI 7425740

5.მომსახურების ურთიერთობების შეცვლა და შეწყვეტა:

მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

5.1 მომსახურების ხელშეკრულების ვადის გასვლა;

5.2ერთ-ერთი მხარის მიერ მომსახურების ხეკშეკრულების პირობების დარღვევა;

5.3 მომსახურების ხელშეკრულების მოშლა;

5.4 მხარეთა შეთანხმება მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე;

5.5 სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;

ცაგერის მუნიციპალიტეტის ინიციატივით მომსახურების ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია:

5.6 თუ შპს „მიკრონეტი" ვერ ასრულებს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობებს;

5.7 საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი:

6.1 მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ მოიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები;

6.2 საკითხები რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით;

6.3 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია. ცვლილებებისა და დამატებების ხელმოწერის შემდეგ ისინ ითვლებიან წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

6.4 ხელშეკრულების ხელმოწერიდან ნებისმიერ დროს ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად ცნობა საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო გადაწყვეტილების ან სხვა გარემოების საფუძველზე, არ იქონიებს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულების ნამდვილობაზე. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერად აწარმოონ

მოლაპარაკებები რათა ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას ისეთი ცვლილებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად შეინარჩუნებს მხარეთა თავდაპირველ მიზანს;

6.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისთვის;

6. მხარეთა რეკვიზიტები

შპს მიკრონეტი **ს/კ 204557960**

მისამართი: ქ.თბილისი გუთნის ქ.#25

ტელეფონი: +995 322 19 49 49

ელ-ფოსტა: info@micronet.ge

საბანკო ანგარიში: თიბისი ბანკი ა/ნGE68TB0839236080100002

ცაგერის მუნიციპალიტეტი

მისამართი: ქ.ცაგერი რუსთაველის ქ.69

ტელეფონი:

ბანკი: ლიბერთი ბანკი

საბანკო ანგარიში: GE52LB0120172720783000

/ხელმოწერა/ბეჭედი/

/ხელმოწერა/ბეჭედი/